ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4033560

ნომერი: AR1609442

თარიღი : 18.06.2018

გაცემის თარიღი : 25.06.2018

გაცნობის თარიღი : 25.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 67;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე შერაზადიშვილი პ/ნ 01027055868
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 10, ბინა 89

ორგანიზაცია:

- შპს სტუდიო ფიგურა ჯორჯია კოდი: 405121522

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

-ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, მიუღებელია ფანჯრის ღიობების (ვიტრინების) სარეკლამო აბრებით სრულად (ათვისება) გადაფარვა სასურველია უფრო სადა, დახვეწილი სახით მისი შემუშავება, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების რაოდენობის შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამსახურს სარეკლამო აბრის განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, საჭიროა წარმოადგინოთ სხვა ალტერნატიული ვარიანტი, ამასთან გაითვალისწინეთ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე_18 მუხლის მე_10 პუნქტის თანახმად : განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.
-„სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით).
- აქვე გაითვალისწინეთ, რომ "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.
-წარმოდგენილ იქნეს მოსარგებლის უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. თუ განსახორციელებელი სამუშაოებით ეხება სხვის სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებულ ფართებს საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ყველა ასეთი პირის თანხმობა თუ არ ეხებით განმარტეთ და მონიშნეთ თუ სად მდებარეობს აღნიშნული ფართები. ასევე გაითვალისწინეთ ერთ-ერთ სარგებლობას ვადა აქვს გასული იმ შემთხვევაში თუ ფართი აღარ არის სარგებლობით გაცემული საჭიროა განახლდეს ამონაწერი და აღარ ფიქსირდებოდეს სარგებლობა. წარმოდგენილ იქნეს ყადაღის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.